



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გაგრის ქედი

გაგრის ქედი, აფხაზეთის კავკასიონის გვერდითი ქედი. მთავარ ქედს გამოეყოფა მდ-ების მზიმთისა და ლაშიფსეს სათავეებთან. სიგრძე 54 კმ, უმაღლესი წერტილია მწვ. აგეფსთა (3257 მ). ქედის სამხრ. მონაკვეთი აგებულია ზედაცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით. შუა ნაწილი - ლუბიტან-ტიტონური რიფული, ბრეჩჩიული და შრეებრივი კირქვებით, ჩრდ. ნაწილი - ბაიოსური პორფირიტებითა და ტუფებით. გ. ქ-ზე მეოთხეული გამყინვარების ნიშნებია. ჩრდ.-აღმ მონაკვეთზე არის თანამედროვე მყინვარებიც. თითქმის ყველგან გვხვდება რელიეფის კარსტული ფორმები, რ-ითაც განსაკუთრებით მდიდარია გ. ქ-ის დას. ნაწილი - არაბიკის მასივი, სადაც არის მწვ. არაბიკა ზ. დ. 2656 მ. ღრმა უფსკრულები (ვახუშტი ბაგრატიონის, კრუბერის და სხვ.). გ. ქ-ის თხემური ზონა ქარაფოვანი და ძლიერ დანანეწვრებულია. კალთები შემოსილია შერეული ტყით, თხემური ზონა - სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

**ს. ნემანიშვილი**

---